პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
სამშაბათი
5
აპრილი
№ 79
(16816)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ღირსეული შეხვედრა — დიად იუბილეს

3-4 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

საკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ საგამოფენო საქმიანობის გაუმჯობესების გზებიც არის განსაზღვრული. კერძოდ, გათვალისწინებულია აიგოს დამატებითი შენობები, გაიზარდოს ყოველწლიური ასიგნებანი ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა შეკვეთებისა და შეძენისათვის. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, წერს გაზეთი კვირის მეთაურში („სამხატვრო გამოფენა“), რომ სახვითი ხელოვნების მოღვაწეები, მათი შემოქმედებითი კავშირები გაზრდილი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი აქტიურობით, ცხოვრებასთან კავშირის შემდგომი განმტკიცებით უპასუხებენ პარტიის ზრუნვას.

საბჭოთა მხატვრებს ახალი პასუხსაგები გამოფენები მოელით. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ და საკავშირო ექსპოზიციებს.

საგამოფენო საქმიანობა ხელოვნების დარგში ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი სფეროა. მის სრულყოფილებაზე ბევრად არის დამოკიდებული მხატვრული საშუალებებით ჩვენი მაღალი ჰუმანისტური იდეალების, საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდის ეფექტიანობა.

„კოსმოსის“ სერიის აპარატებმა მტკიცე ადგილი დაიმკვიდრეს კოსმოსური სივრცის კვლევის საშუალებათა არსენალში, რომელიც თანმიმდევრულად წარმოებს საბჭოთა კავშირში. ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა მეცნიერული ამოცანის გადაწყვეტაში და დიდი მოცულობის საინტერესო ინფორმაცია მოგვაქვს. კერძოდ, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული ზედა ატმოსფეროს და ნინოსფეროს სტრუქტურის და იქ მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესწავლაში. მიღებულია ახალი მონაცემები დედამიწის მაგნიტური ველის, კოსმოსური სხივების, ჩვენი პლანეტის რადიაციული სარტყლების, მზისა და მზე-დედამიწის ურთიერთობის შესახებ. საგულისხმოა, რომ ეს და სხვა მრავალფეროვანი გამოკვლევები „კოსმოსის“ სერიის უნიფიცირებული თანამგზავრების საშუალებით სრულდება, რომლებიც ამავე დროს კოსმოსური ტექნიკის საცდელი პოლიგონი გახდა.

30 მარტს გაუშვეს დედამიწის თანამგზავრი „კოსმოს-900“. რა მიზნებია დასახული მის წინაშე? ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია პროფესორების კ. გრინგაუზისა და ბ. ტვერსკოის წერილში“ — „ლაბორატორია მაგნეტოსფეროში“ (მე-3 გვ.).

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა დიდი პრინციპულობითა და თანმიმდევრობით გამოირჩევა. 60 წლის წინათ 1917 წლის 3 აპრილს (21 მარტს) „პრავდაში“ დაიწყო ლენინის ცნობილი სტატიების — „წერილები პრაღიდან“ ბეჭდვა. ამ წერილებში რევოლუციის გენიალური სტრატეგი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატი მივა სოციალიზმამდე, და მხოლოდ და მხოლოდ იგი მისცემს იმთა გამწარებულ ხალხებს მშვიდობას, პურსა და თავისუფლებას. წერილებში ჩამოყალიბებულია მშვიდობის პროგრამა, რომელიც პარტიამ იმ დროის პირობების შესაბამისად შეიმუშავა. ჩვენს დროში ხალხთა ძირეული ინტერესების დაცვის ლენინური იდეებით გამსჭვალულია XXV ყრილობაზე მიღებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა. ეს პროგრამა იმ დიდი და დაძაბული მუშაობის საფუძველია, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ეწევიან.

ბევრი ამბის მიღმა, რომლებსაც დეპეშათა საგენტოები იუწყებიან, ვხედავთ საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებისათვის დამახასიათებელ დიდმნიშვნელოვან პროცესებს. ყოველივე ამას წაიკითხავთ **მაი პოდლუჩნიკოვის** მიმოხილვაში — **საერთაშორისო ამბები“** (მე-5 გვ.).

შრომისადმი პატივისცემის, საკუთარი მთავარი საზოგადოებრივი მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა ჩვენი პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ნათქვამია გუშინდელი ნომრის მოწინავეში (**„შრომითი აღზრდა“**). მიზანდასახულად და თანმიმდევრულად წყვეტს ამ ამოცანას, იგი განუხრელად აკითარებს მრავალმილიონიანი ხალხის მასების აღმშენებლობითს ენერგიას. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე მზარდი შრომითი აქტივობა კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ახალი მიღწევებისა და გამარჯვებების წყაროა.

გაზეთი კვლავ დიდ ადგილს უთმობს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ინფორმაციას.

PRAVDA

რესპუბლიკის მეჭარხლეთა კოლექტივების გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი

გორის რაიონი

რაიონის მეჭარხლეობის მეურნეობებმა, რომლებიც მხურვალედ იწონებენ უუბანელ მაუწყებელ-მოქმედთა პატრიოტულ ინიციატივას — მოიწონეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უდიდესი მოსავალი, გადასინჯეს 1977 წლისათვის უკვე ნაკისრი ვალდებულებანი და გადაწყვიტეს:

გადიდონ შაქრის ჭარხლის საშუალო ჰექტაროობრივი მოსავლიანობა, მიაყიდონ სახელმწიფოს 40.000 ტონა პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 39.200 ტონის ნაცვლად.

სოფელ ლიახვის კოლმეურნეობა

აქ სათესად გამოჰყვეს 172 ჰექტარი. კოლმეურნეებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება თითეულ ჰექტარზე უდიდესი მოსავლის მისაღებად და ვალდებულება აკისრეს საშეალოდ ჰექტარზე მოიწონონ სულ ცოტა 410 ცენტნერი შაქრის ჭარხალი — გეგმაზე 10 ცენტნერით მეტი.

ბრიგადამ, რომელსაც მოწინავე მეჭარხლე კ. მარკოზაშვილი ხელმძღვანელობს, პირობა დადო, რომ გეგმით გათვალისწინებული 400 ცენტნერის ნაცვლად საშეალოდ ჰექტარზე მოიწევს 550 ცენტნერ შაქრის ჭარხალს.

ამავე ბრიგადის წევრმა თ. ხოსიაშვილმა ეალდებულება აკისრა 0,15 ჰექტარ ნაკვეთში მიიღოს 620 ცენტნერი მოსავალი.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა

წელს მეურნეობაში ჭარხლის ნათესები 100 ჰექტარს დაიკავებს. კოლმეურნეობაში გადაწყვიტეს თითეთეულ ჰექტარზე მიიღონ 410 ცენტნერი პროდუქცია — გეგმაზე 10 ცენტნერით მეტი, სახელმწიფოს მიაყიდონ 4.100 ტონა ჭარხალი, გეგმით გათვალისწინებული 4.000 ტონის ნაცვლად.

ბრიგადამ, რომელსაც ი. ლაბაშვილი ხელმძღვანელობს, გავადაწყვიტა მიჩენილი 15 ჰექტარიდან თვითეულზე მოიწიოს 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, გეგმაზე 100 ცენტნერით მეტი.

ბრიგადამ, რომელსაც შ. ახალკაცი ხელმძღვანელობს, ვალდებულება აკისრა იმავე ფართობზე და ოგივე გეგმის პირობებში მოიწიოს 550 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ბრიგადის წევრმა მ. მერებაშვილმა კი ვალდებულება აკისრა 0.25 ჰექტარზე 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანოს გეგმით გათვალისწინებული 400 ცენტნერის ნაცვლად.

ხაშურის რაიონი

რაიონის მეჭარხლეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ყუბანელ სოფლის მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას. მათ გადაწყვიტეს დაამზადონ 21.500 ტონა შაქრის ჭარხალი გეგმით გათვალისწინებული 20.200 ტონის ნაცვლად.

ახალი მიჯნები დაისახეს რაიონის ცალკეულმა მოწინავე მეურნეობებმა.

სოფელ სურამის კოლმეურნეობა

აქ აწონ-დწონეს თითეთეულ ჰექტარ საფარგულზე პროდუქციის წარმოების გადიდების რეალური შესაძლებლობანი და ვადაწყვიტეს მიაყიდონ სახელმწიფოს სულ ცოტა 1840 ტონა შაქრის ჭარხალი, გეგმით გათვალისწინებული 1.800 ტონის ნაცვლად.

ჟვიშხეთის მეგოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა

ვალდებულება აკისრეს დაამზადონ 1.650 ტონა შაქრის ჭარხალი, გეგმით გათვალისწინებული 1.500 ტონის ნაცვლად.

სოფელ ოსიაურის კოლმეურნეობის № 4 ბრიგადა

გეგმით გათვალისწინებული 302 ტონის ნაცვლად — 360 ტონა.

კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ № 2 ბრიგადა

თვითეულ ჰექტარზე აწარმოონ 520 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 480 ცენტნერის ნაცვლად.

ქარელის რაიონი

სოფელ ავნისის კოლმეურნეობა

დამკვრელურად იწრომეს მეჭარხლეებმა შარშან.

კიდევ უფრო მაღალი მიჯნები დაისახეს კოლმეურნეობაში 1977 წლისათვის. **ყუბანელთა მოწოდებას პასუხად აქ გადაწყვიტეს 216 ცენტნერით გაადიდონ შაქრის ჭარხლის საშუალო ჰექტაროობრივი მოსავალი და თვითეულ ჰექტარზე მოიწონონ 550 ცენტნერი პროდუქცია, მიაყიდონ სახელმწიფოს 24.750 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 15.120 ცენტნერის ნაცვლად.**

ბრიგადამ, რომელსაც ნ. ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობს, ვალდებულება აკისრა მისთვის მიჩენილი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 600 ცენტნერი ნედლეული მოიწიოს გეგმით გათვალისწინებული 336 ცენტნერის ნაცვლად.

ო. ხაჩიძის რგოლმა გადაწყვიტა 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 800 ცენტნერი მოსავალი.

(საქინფორმი).

თესავენ შაქრის ჭარხალს

ხორცის წარმოების გადიდება ყველას ღვაწლი საქმეა

□

ნარაზენელთა ნვლილი

პირად მეურნეობაში სახელმწიფოსათვის საქონლის ხორცის მიყიდვის საქმეში აქტიურად იღებენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის მშრომელები. სასოფლო საბჭოს მცხოვრებთა პირობა იყო წლეულს პირველ კვარტალში 170 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 180 ცენტნერი საქონლის ხორცი, ფაქტიურად მიეყიდა 190 ცენტნერი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცი.

აკაკი ცირდავამ ცხოველდამზადების პუნქტს ჩაბარა 1.200 კილოგრამი საქონლის ხორცი, ვალერიან თოდუამ — 509 კილოგრამი, ვაჟა გრიგოლიამ — 350 კილოგრამი, ჭიმიკო სიხინავამ — 260 კილოგრამი, გელანანავამ — 340 კილოგრამი, ვალიკო ახალაიამ — 320 კილოგრამი საქონლის ხორცი და სხვ. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თოდუამ.

ოფიციალური ვიზიტით

საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში 4 აპრილს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ტუნისის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, სოციალისტური დუსტურის პარტიის გენერალური მდივანი ჰედი ნეერა.

ტუნისის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სხვა ოფიციალური პირნი.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, წესრიგდა ტუნისისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ამავე დღეს სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართა ჰედი ნეერას.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, პ. ნ. დემიჩევი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინმა და პ. ნეერამ წარმოთქვეს სიტყვები, რომლებსაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

მოძმე ხალხის დღესასწაული

მოსკოვში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების სახეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 32-ე წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. დ. კეტლაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი და სხვები. მათთან ერთად — უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის მეათე რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის ი. საკალის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსეი ლეონოვმა.

32 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბერძნეთი წითელი არმიის მძლავრი დარტყმების შედეგად უნგრეთში დაიმსხვრა ძველი ექსპლოატატორული წყობილება, თქვა უნგრეთის სახალხო რეპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში იოანეფ მარიაიმ, დაისახა საზოგადოებრივი განვითარების გზა, რომელიც ჩვენმა ხალხმა განელო თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და აეშენა ახალი სოციალისტური სამშობლო.

ელჩმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისთვის სოციალისტურ ქვეყნებთან, და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან მეგობრობასა და თანამშრომლობას. (საკდესი).

საბჭოთა სამხედრო დელეგაციის ვიზიტის შესახებ

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის არმიის გენერალს ჰ. ჰოფმანის მიწვევით 1977 წლის აპრილის შუა რიცხვებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მეგობრული ვიზიტით ეწვევა საბჭოთა სამხედრო დელეგაცია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალს დ. თ. უსტინოვის მეთაურობით.

გეიმოობამ გეოლოგები

თბილისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა გეოლოგის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

დამსწრეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კეტლაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი და სხვები. მათთან ერთად — უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის მეათე რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის ი. საკალის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსეი ლეონოვმა, რომელიც მიეძღვნა ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 32-ე წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. კეტლაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

ბრიტანეთის ელჩმა ალექსანდრ ჰეიგმა, ინდოეთის ელჩმა ბ. ბ. ბანერჯიმ, ბულგარეთის ელჩმა ბ. ბ. ბალევმა, ბულგარეთის, ინდოეთის, ალჟირის, ეგვიპტის, ეთიოპიის, ავსტრიის, ბელგიის, ბრაზილიის, ბურკინა ფასოს, ბურმის, ბურუნდის, ბენინის, ბოლივიის, ბოტსვანის, ბუენოს აირესის, ბულგარეთის, ბურტაგალიის, ბაჰამის, ბაჰრეინის, ბანგლადეშის, ბელგი

თაოსანი თუ ხარ...

გეგმას ყველა უბანი უნდა ასრულებდეს!

ჩვენი შახტი, რომელიც დიდი ლენინელის ს. ორჯონიკიძის სახელობისაა, რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. მისი პროდუქცია სამოცდაათამდე მისამართით იგზავნება. ორჯონიკიძელები ბოლო წლებში სულ უფრო ადიდებენ ქვანახშირის მოპოვების, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. შარშან შახტის ბუნკერიდან ზეგეგმიური ქვანახშირით დატვირთული 7 ეშელონი გაიგზავნა. ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მასალების ღრმად გაცნობამ მოწინავე კოლექტივში კიდევ უფრო დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

შახტის კოლექტივი, მიუხედავად სიძნელეებისა, დამაკმაყოფილებლად ირომეკენ თავს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. იანვარ-ოებერვლის სახელმწიფო გეგმა საწარმომ გადაჭარბებით 101,2 პროცენტით შეასრულა.

ცნობილია, რომ მასების აქტივობის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება. უნარიანად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება — გეგმა-ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად კეთილნაყოფიერ აღმზრდელობით ზემოქმედებას ახდენს მუშახტათა კოლექტივზე, მის თვითეულ სასიცოცხლო რგოლზე, თვითეულ მუშაზე. ამიტომაც არის, რომ პარტიული ბიუროს ყოველთვის შეუნელებელ ყურადღებას აქცევს შეჯიბრების ორგანიზებას, ებრძვის ყოველგვარი ფორმალიზმის წინააღმდეგ.

თუ გადავხედავთ შეჯიბრების ყოველთვიურ შედეგებს, დავრწმუნდებით, რომ შრომით ავანგარდში კომუნისტები დგანან. მაგალითად, კომუნისტმა გამყვანმა შ. ბოჟორიშვილმა ჯერ კიდევ მეცხრე ხუთწლეულში ორი ხუთწლედის ნორმა შეასრულა და ახლა მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. იგი პირად ნორმას ყოველთვის 150-200 პროცენტით ასრულებს. მოწინავე მუშა-კომუნისტს შახტში ბევრი მიმდევარი ჰყავს. მათი უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგიყვანს.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მეშახტეთა კომუნისტური შრომის იმ ბრიგადაზე, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. სვანიძე უძღვის სათავეში. ე. სვანიძის ბრიგადა არა ერთი თაოსნობის ორგანიზატორია. იგი შარშან მეათე ხუთწლედის დავალებათა ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა და თანდათან ზრდის მუშაობის ტემპს. შარშან ბრიგადამ 3 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირი ამოიღო და ნორმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მომდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე ვის ანგარიშზეა ერთი ეშელონი ზეგეგმითი სათბობი. ვალდებულებით ბრიგადის თვითეულ წევრს ცალკეში საშუალოდ ნორმის ზევით 1,5-2 ტონა ქვანახშირი უნდა მოეგროვა, ფაქტიურად გაციცხელებდა 2,5 ტონა სათბობი მონგრეული. ახლა მოწინავე ბრიგადა იმისათვის იბრძვის, რომ ახალი ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა შეასრულოს მეშახტის ტრადიციული დღესასწაულისათვის, რომელიც 28 აგვისტოს აღინიშნება. ამ თაოსნობას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა შახტში, რომლებიც ორი წლის ნორმის შესრულებას ისევე შეშახტის დღისათვის კისრულობენ. ასეთებია ის ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან კომუნისტები ვ. დეკეიძე, ივ. მესხორაძე, ო. ბოჟორიშვილი, ი. მესხორაძე და გ. ღურბელაშვილი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის თაოსნობა — „არცერთი ჩამორჩენილი, ოდის�eline — ჩვენ გვერდით!" ჩვენი შახტის კოლექტივის სამოქმედო დევიზი გახდა. ამ შესანიშნავი ინიციატივიდან ჯერ ერთი წელიც არ გასულა, მაგრამ ამ მოკლე დროშიც საგრძნობლად შემცირდა უდისციპლინოთა, დროის უქმად მფლანგველთა, „ფრენიებისა" და ზარმაცების რიცხვი.

ჩვენი შახტი ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმას უკანასკნელი 15 წელია სისტემატიურად ასრულებს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად. ამოღებული სათბობი ყოველთვის ვერ უპასუხებს დადგენილ სტანდარტს. ეს იმიტომ, რომ შახტის გამგებლობაში მყოფი ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნოლოგიური სქემა ძველია და არ ძალუძს ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება.

ფაბრიკის რეკონსტრუქციის საკითხი დიდი ხანია დღის წესრიგშია, მაგრამ მისი გადაჭრა ვერ მოხერხდა. ახლა მეშახტეებმა ფაბრიკის რეკონსტრუქცია პირველხარისხოვან საქმედ გამოაცხადეს და იგი მომდინარე წლის თებერვალში პარტიული კრების მსჯელობის საგნად გახადეს. კრებამ ყოველმხრივ აწონ-დაწონა შექმნილი მდგომარეობა და დასახა ფაბრიკის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაჩქარების ღონისძიებანი.

გამამდიდრებელი ფაბრიკის რეკონსტრუქცია, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, კარგ შედეგს გამოიღებს, ამოღებული ქვანახშირის ნაცრიანობა გამდიდრების შემდეგ სულ მცირე 10 პროცენტით შემცირდება, ამოღდება საწარმოს ეფექტიანობა, მოიმატებს სათბობის მოპოვება, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

მეშახტეთა წინაშე სხვა ბევრი პრობლემა დგას. ერთ-ერთი ასეთთაგანია ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება. ერთი წლის წინათ შახტს გადაეცა ახალი მესამესე სამთო ჰორიზონტი. იქ უკვე გადაინაცვლა IV და V საექსპლოატაციო უბნებმა, მაგრამ ეს საქმარისი როდია. მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ტემპი, რათა ახალ ჰორიზონტზე რაც შეიძლება მალე გადავიდეს შახტის კიდევ ორი—პირველი და მეორე უბანი. ეს ღონისძიება დიდად გაზრდის სათბობის ამოღების ტემპს, გააუმჯობესებს მის ხარისხს.

შახტი „სახელმწიფო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს, მაგრამ ზოგიერთი საექსპლოატაციო უბანი და ცალკე კვლავ ცუდად მუშაობს. ეს მოთხოვს საექსპლოატაციო უბნის მისამართითაც ითქმის. უბანმა მარტო შარშან გეგმას 11 ათას ტონამდე ქვანახშირი დააკლო, უბნის მუშაობის საკითხი არა ერთხელ გავხადეთ პარტიული კრებისა და პარტბიუროს მსჯელობის საგნად. შევცვალეთ უბნის სუსტი ხელმძღვანელები. ეს ჩამორჩენილი კოლექტივი ამას წინათ ვეტერან სამთოელს, კომუნისტ დ. ტუკვაძეს ჩავბარეთ, რომელმაც თავიდანვე ენერგიულად მოკიდა ხელი უბნის ხელმძღვანელობას.

შახტის ადმინისტრაციამ, პარტბიურომ, სხვა ღონისძიებებიც გაატარა. გაგაძლიერეთ მეშახტეთა კომპლექსური ბრიგადები, უბანში ჩამოვაყალიბეთ ერთი ახალი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელობა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ა. სულიმანიძემ თავზე. გატარებულ ღონისძიებათა შედეგია ის, რომ მეთხუთხეტიანებმა იანვარ-თებერვლის სახელმწიფო გეგმა წარმატებით შეასრულეს, ჩამორჩენა დაძლიეს.

შახტის კოლექტივის წინაშე კიდევ უფრო დიდი სასიცოცხლო ნაბიჯნელობის ამოცანა დგას, რომელის წარმატებით გადაჭრა კოლექტივის თვითეული წევრის საპატიო მოვალეობაა. ჩვენი საწარმო თავისი არსებობის თელ მანძილზე ენერგეტიკულ ქვანახშირს იძლევა. ასეთი სახის სათბობზე, რაც დრო გადის, მოთხოვნილება თანდათან მცირდება, ხოლო საკუმესე ქვანახშირზე პირიქით იზრდება. ჩვენი საწარმოვნი ახლა ის არის, რომ ხელი მოკვეთოთ ამ პერსპექტიული სახის ქვანახშირის მოპოვებას, რათა სრულად დავაკმაყოფილოთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოთხოვნილება.

ახლა პირველი რიგის ამოცანა, ახალი ველის ქვანახშირის ფენების გადახსნაა. ეს საძებელო და საპასუხისმგებლო საქმე ტყიბულელ შახტმშენებლებს აქვს მინდობილი. დღეა თუ ღამე, დარია თუ ავდარი, გამყვანთა ბრიგადები დაჭიანებით მიიწევენ წინ, მიწისქვეშა საუნჯისაკენ. ქვეყნელს შერკინებული ადამიანები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამარჯვებულნი გამოვლენ და ხალხის სამსახურში ჩადგება დიდი ბუნებრივი სიმდიდრე, დიდი სახალხო დოვლათი.

ნ. კბილაძე,
ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანი.

ბუნების ძეგლები ერის საუნჯეა

ჩვენ და გარემომცველი

ამ წერილში გვინდა ვილაპარაკოთ საქართველოს იმ ნაწილზე, სადაც მზის სხივი არა სოდეს ხვდება. ეს „მიწისქვეშა" საქართველოა — იდუმალ მღვიმეთა, ბუნების მიერ ათასეული და მილიონი წლების განმავლობაში შექმნილი და ზღაპრულად დამშვენებული სამყარო.

საქართველო - ბუნებრივ, ანუ კარსტულ მღვიმეთა და ხელოვნურ გამოქვაბულთა რაოდენობით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. კარსტული მღვიმეები თაგმოყრილია ძირითადად დასავლეთ საქართველოში: გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ობამის, აბროლაურის, წყალტუბოს, ტყიბულის და სხვა რაიონებში, საქვეყნოდ ცნობილი კურორტების მახლობლად და აღიარებულ ტურისტულ ტრასებზე. გამოქვაბულები კი უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოშია (ვარძია, დავითგარეჯი, უფლისციხე, მდინარე ცალის და მისი შენაკადების ასეულობით გამოქვაბული და სხვ.). სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში მხოლოდ ერთი — ახალი ათონის მღვიმე ჩადგა მწყობრში და საქვეყნო აღიარებაც მოიპოვა. აქ მომსახურების დავალებები წარმატებით სრულდება და მოგებაც მნიშვნელოვანია. უკვე ყველამ იცის, რომ ახალი ათონის მღვიმეში ადვილად ვერ მოხვდები კაცი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან მოდის განაცხადი ბილეთების წინასწარ დასაკვეთად, მსურველები დილიდან საღამამდე მოთმინებით დგანან გრძელ რიგებში მღვიმის შესასვლელთან. ეს მღვიმე 1975 წელს გახსნა მნახველთათვის.

ამა ახლა თვალი გადავაგლოთ, თუ რა მდგომარეობაა რესპუბლიკაში კარსტულ მღვიმეთა კეთილმოწყობი თ ი ა ამუშაობების ფრონტზე.

ჯერ კიდევ 1966 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ახალი ათონისა და სათაფლიის კარსტული მღვიმეების კეთილმოწყობა. სამუშაო 1971 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ იგი საექსპლოატაციოდ 1975 წელს გადაეცა. კეთილმოწყობის სამუშაოთა ოთხი წლით დაგვიანებამ 3 მილიონი მანეთი ზარალი მიაყენა სახელმწიფოს. არც ცნობილი სათაფლიის მღვიმის კეთილმოწყობის საქმეა მოგვარებული.

აი მოკლე ისტორია:

1925 წელი. მშობლიური ბუნების დიდმა მოტრფიალემ პეტრე ჭიბუკიანმა აღმოაჩინა სათაფლიის მღვიმე, 1935 წელს — იქვე, უცნაური, კირქვაში გამქვავებული ნაკვალევი. აკადემიკოსმა ლ. გაბუნიამ დაადგინა, რომ ეს ნაკვალევები ეკუთვნოდა დინოზავრებს, რომლებიც აქ 120 მილიონის(!) წლის წინათ „სეირნობდნენ". სათაფლიის დინოზავრი მსოფლიო პალეონტოლოგიურ ანალებში შევიდა საკუთარი — „სათაფლიოზავრის" სახელით.

1966 წელი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს სათაფლიის მღვიმის კეთილმოწყობა და დინოზავრების ნაკვალევების დაფარვა. სამუშაოები 1971 წელს უნდა დამთავრებულიყო. „საქსოფლპროექტმა" სათანადო პროექტიც დაამუშავა, გამოიყო საჭირო თანხა — 440 ათასი მანეთი. სამუშაოები დაავალა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტს.

შედეგი? 11 წლის მანძილზე ათვისებულია ამ თანხის მხოლოდ მეოთხედი(!)

ახლა დინოზავრების ნაკვალევზე. ასეთი უნიკალური ნაკვალევი მსოფლიოში სულ 2-3 ადგილას არის. საბჭოთა კავშირში კი — მხოლოდ აქ. მათი ასაკი 120 მილიონი წელია. უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია კი ნაკვალევის ქვეშ არის, მოაცილეს ნიადაგის ფენა, რომ ხალხს ენახა ისინი, ეს ფენა კი იცავდა მას. ახლა კი ნაკვალევთა ნახევარი აღმოვავ მიწისაგან პირისა. წვიმა და ქარი ანგარიშს არ უწევს სხვადასხვა უწყებათა გაუთავებელ მიწურ-მოწურას იმის თაობაზე, თუ როგორი კონსტრუქციისა და რა მასალისაგან უნდა აიგოს ამ ნაკვალევთა დამცველი პავილიონი.

მშენებლობის სამინისტრომ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს სთხოვა სათანადო საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად დაემუშავებინა პავილიონის პროექტი. იმის გამო, რომ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციები ვერ შეთანხმდნენ კონსტრუქციასა და მასალაზე, პავილიონის აგებას დღემდე საშენელი არ დაადგა. ეს მაშინ, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამაზე განმეორებითი დადგენილება მიიღო. მიწურ-მოწურა გრძელდება, უნიკალური ნაკვალევები კი ნადგურდება.

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვისწავლია, რამდენ ხანში და რა მასალისაგან შენდება ზოგიერთი სხვა დანიშნულების ობიექტი, ისე კი კარგი იქნებოდა ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ეისაზეც ნაკვალევთა გადახურვა და დაცვა დამოკიდებული, სიზმარში მაინც ეცადა სათაფლიოზაური, განრისხებული თავისი საგიზეტო ბარათის შეუფასებლობით, ასეულ მილიონ წელს რომ გაძლო და ახლა კი, ოთხი ათეული წლის მანძილზე გადგურებამდე მივიდა. ისიც ეცოდინებოდა, რომ ამდენი წელი შენდეგ (ზემდგომი ორგანოს დავალება შემდეგ) ტურიზმისა ა ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო სვამს საკითხს სათაფლიის კომბინატში ჩამოყალიბებულია სპელეოლოგიისა და კარსტოლოგიის ლაბორატორია, რომელიც გეგმაზომიერად და წარმატებით იკვლევს საქართველოს მღვიმეებს, ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გამოქვაბულებს იკვლევს სპელეოარქეოლოგიური ლაბორატორია. ეს, რაც შეეხება მეცნიერულ კვლევებს, რომლებიც თავისთავად გაძლას და გაღრმავებას მოითხოვს.

ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოსთან 1962 წლიდან საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს მღვიმური ტურიზმის სექცია. ასეთივე სექციები ქუთაისსა და სოხუმში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში არსებობს სახელოვნების საქმეებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილია კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება.

მღვიმეთა კეთილმოწყობა და ექსპლოატაცია დავალებული აქვს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს, ავრეთვე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს (ჩარქალიძისა და სამონადირეო მეურნეობათა სამმართველოს), აქვე შეიქმნა სპელეოლოგიური კომისია.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი თუ უწყებრივი ორგანიზაციები მრავლადაა, შედეგი კი არც თუ ისე სახარბიელო. საქმე იმაშია, რომ მათ საქმიანობას არ ეწევა სათანადო კოორდინაცია, მუშაობა მიმდინარეობს სტიქიურად, არ არსებობს ერთი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვის, კეთილმოწყობისა და რაციონალური ექსპლოატაციისთვის. ამას ხელს უშლის და აბრკოლებს სათანადო ფუნქციების ალოგიკური განაწილება სხვადასხვა ორგანიზაციას შორის. მაგალითად, სათაფლიის მღვიმური კომპლექსის კეთილმოწყობას აწარმოებს საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო სახბანკის სესხის ანგარიშზე, შემოსავალი კი შედის რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში.

მღვიმურ ტურიზმსა და სპორტს, გარდა შემეცნებითი ინტერესისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის აღზრდისა და წრთობისათვის.

დღეს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და დაპყრობილია 770 მეტრი სიღრმის კარსტული უფსკრული. იგი რამდენჯერმე დაიპყრეს მოსკოველმა, ნოვოსიბირსკელმა, კრასნოიარსკელმა სპელეოლოგებმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები კი ჯერ არ ყოფილან ამ უფსკრულის ჩასასვლელთან, ჩასვლაზე კი ხომ ფიქრიც ზედმეტია. არ არის სპორტული საჭიროება, მოწყობილობა, და რაც მთავარია, დაწესებულება, რომელიც ორგანიზაციას გაუწევდა ამას. უფსკრული „თოვლიანი" კი ბზიფის ქედზე, გუდაუთის რაიონში საკრთაშორისო კლასის ვერტიკალური მღვიმეა და მაღლ ალბათ უცხო ქვეყნების სპელეოლოგებიც დაიპყრობენ მას.

რა არის იმისათვის საჭირო, რომ ამ საშვილიშვილო საქმეს თავი დადგეს? ჩვენის აზრით, საჭიროა შეიქმნას ერთი ისეთი ცენტრალური დაწესებულება, რომელსაც დაევალება საქართველოს კულტურისა და ბუნების ძეგლების მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობა, რაციონალური ექსპლოატაცია, წარმოუდგენელია კი ის დიდი ეკონომიკური ეფექტი, რასაც სახელმწიფოს მისცემს ამ საქმის მაღალ დონეზე მოგვარება.

ერთი ცენტრალიზებული დაწესებულება კი, რომელშიც თავმოყრილი იქნება კულტურის ძეგლებისა და ბუნების ძეგლების კეთილმოწყობის, რაციონალური ექსპლოატაციის საქმე, საორგანო ტერიტორიულ-კვლევითი განყოფილებები, რეკლამა, ხოლო ადგილებზე შესაბამისი სამსახურები, პასუხისმგებელი იქნება ყველაფერ იმაზე, რაც ზემოთ თქვა, ყოველნაირად გაამართლებს თავის ფუნქციებს. გასაკვირველი კი ძალიან ბევრია, საქართველოს 10 ათასზე მეტი კულტურისა და ბუნების ძეგლი ელის თავის ღირსეულ პატრონს. ეს დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმეა.

თ. კიკნაძე.

მეცხოველეობას—მთელი ჩვენი გულისყური

უფერის საბჭოთა მეურნეობას ერთი წლის არსებობის ისტორია აქვს. იგი ეკონომიკურად სუსტი რეა კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა. თავიდანვე მეურნეობა დაკომპლექტდა სქმის მცოდნე, ენერგიული, მონდომებული და ინიციატივიანი კადრებით.

მეურნეობამ, მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, კარგად დაიწყო 1977 წელი. მარტო პირველ ორ თვეში სახელმწიფოს 400 ცენტნერამდე პირუტყვის ხორცი მიეყიდა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აწარმოეს 148 ცენტნერით მეტი ხორცი, მნიშვნელოვანი ზრდა აქვთ რძის წარმოებაში. კარგი პირი აჩანს ამ მეურნეობისათვის ახალ დარგს — მეცხვარეობას. დოლი წარმატებით მთავრდება, შვიდასამა ნერბმა მეურნეობას უკვე მისცა 700 ბატკანი. საშუალოდ ყოველ ას ნერბზე ასი ბატკანი აღრეკილობით მიღებული. ასეთი მაჩვენებელი ურიგო როდია. ამჟამად მეურნეობას 2.197 ცხვარი ყავს.

...ეს იყო შარშან, აგვისტოს ბოლო დღეებში. პარტიის ონის რაიონულ კომიტეტში ბიუროს საგანგებო სხდომა გაიმართა. იგი რაიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დიდმნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა. ბიუროს მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები. ითქვა, რომ საჭიროა ახლებურად მიეუდგეთ მაღალმთიანი რაიონის, მისი სოფლების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას. მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ოპირველეს ყოვლისა მეცხოველეობის განვითარებას, რათა ოთხლოს წლებში ეს დარგი მომგებიან, რენტაბელურ დარგად გადაიქცეს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა ერთიორად და მეტად გაიზრდება, თუ აქაური შრომელები, საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, ხელს მოკიდებენ ისეთ დარგს, როგორიც არის მეცხვარეობა. სამე ის არის, რომ მეცხვარეობისათვის რაიონში დიდი რეზერვებია. ეს უპირველეს ყოვლისა მთის საძოვრებია, რომელიც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის თითქმის გამოუყენებელია. სამაგიეროდ ასეთი საძოვრები ცხვრისათვის შესანიშნავია.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა დიდი ორგანიზაციორული მუშაობა შინაგანი რეზერვების გამოელენისა და ამოქმედებისათვის. სოფლის მეურნეობის ყველა გადამწყვეტ ოანში რაიონული კომიტეტისა და ბიუროს წევრები, აქტივისტი კომუნისტები ვავიდნენ. მათ მოსახლეობას დამაჯერებლად განუმარტეს მეცხოველეობის დარგის აღმავლობისათვის დაწყებული მაძრაობის არსი, თვითეულ მშრომელს ჩაუნერგეს რწმენა იმისა, თუ როგორ, რა გზით, რა მეთოდებით შეიძლება ამ ჩამორჩენილი დარგის დაწინაურება, საერთო აღმავლობის მიღწევა.

გაჩნდნენ მეცხოველეობის დარგის პირველი ენთუზიასტები, ინიციატივიანი ადამიანები და შრომითი კოლექტივები. ერთ-ერთი ასეთთაგანია სწორედ უწერის საბჭოთა მეურნეობის გლოლის აგროგანყოფილება (უფროსი ი. გოგიჩიშვილი). გლოლელებმა სულ პირველად მთელ რაიონში მეტად პასუხსაგებ საქმის — მეცხვარეობის მოკიდეს ხელი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ დარგის გაძღოლის ტრადიცია არ ჰქონდათ, სიძნელეებს როდი შეეშინდნენ.

შარშან შემოდგომაზე აგროგანყოფილებამ წიფილწყაროს რაიონის „გამარჯვების" კოლმეურნეობიდან 1.500 ცხვარი წამოიყვანა. მათ შორის 700 ნერბი იყო. ინთავიდან წარმოიშვა პირველი დაბრკოლება. ცხვარს ბაგურ პირობებში უნდა გამოეზამთრებინა სოფლის მახლობლად მთის მდინარე ჭინეხის სანაირიოზე ძროხებისათვის აგებულ ფერმაში.

ამინდი თანდათან უარესებოდა, კავკასიონის მაღალ მწვერვალებს თოვლის თეთრი ქუდები ეხურათ. საქმე არ ითმენდა, საჭირო იყო ძროხებისათვის განკუთვნილი სადგომის რეკონსტრუქცია. ფეხზე დადგა მთელი სოფელი. დერგლებმა სწრაფი ტემპით მოაწყეს საკვებურები, დაათბუნეს ბინები, ააგეს საბატკნეები და საჭირო სათავსები. ცხვრის სადგომში დაიდგა ლითონის ღუმელები, შემოღობეს მთელი ფარები.

გლოლაში დიდი თოვლი და ყინვა იცის. ამიტომ მეცხვარეებმა გათვალისწინეს საამური და ტენქნიკური წყლის მოსაღოდნელი ნაკლებობა. ამ მიზნით შეიქმნა წყალსადენის ქსელის მშენებლობის სპეციალური ბრიგადა. სულ მალე ცხვრის დასარწყულებელი ხის როფები მთის ანკარა წყლით აიავსო. საკვებმომპოვებელთა ბრიგადებმა ფარეხთან მიზიდეს დიდძალი თივა, ნამჯა, კომბინირებული საკვები ჩადეს სენაჟი და სილოსი. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ახალ თოსსნობას, ახალ დარგს — მეცხვარეობას, ცხვარ-მეცხვარეს არ გასჭირვებოდა, თავიდანვე მყარ ნიადაგზე დამდგარიყო.

ყოველივე ამან ნაყოფი გამოიღო, გასული წლის დეკემბრის მესამე დეკადაში დაიწყო მეცხვარეთათვის ყველაზე პასუხსაგები პერიოდი. გლოლელებმა პირველი ღოლი იზეიმეს. ვინ მოთვლის რამდენი ღამე გაათენეს თეთრად მეურნეობის მუშაკებმა, მამაცმა მეცხვარეებმა, რომ ღოლი ნორმალურად ჩამთავრებულიყო.

ნაშუადღევი იყო, როცა ახალგაზრდა გამრჯე მეცხვარეებთან მივედით.

ლამაზად მოუწყვიათ მეცხვარეებს თავიანთი საცხოვრებელი სახლი. ყველა ოთახში იგრძნობა წესრიგი და სისუფთავე. მაგიდებზე აწყვია ჟურნალ-გაზეთები, დაინტერესებულ პირს აქ შეუძლია გაეცნოს მეცხოველეთა წარმატებებს და პერსპექტივებს. ფერმის კომპლექსში ცხვრის ოთხი სადგომია. აქედან ორი სადგომის ახლადაგებული კაპიტალური შენობაა. საბატკნეებსა და საჭირო სათავსებში წუნს ვერავინ შეიტანს. ფერმის ეზოს ერთ კუთხეში ხის საკვებურები დაუდგამთ. აქ ცხვარს კომბინირებული საკვებით კვებავენ.

ფერმის პირველ ბრიგადას მეთაურობს დავით კარელიძე. ამ ბრიგადის წევრთა უნარს, ენერგიას, მონდომებას უნდა ეუმადლოდეთ, რომ ცხვარმა მთის პირობებში კარგად გამოიზამთრა და ნამატიც მოლიანად შეინარჩუნეს, დ. კარელიძე, გარდა იმისა, რომ ბრიგადირია, ახალგაზრდა მეცხვარეთა კარგი ოემზრდელი და დამრიგებელიც არის. მან არა ერთ გლოლელს შეასწავლა მეცხვარეობის რთული, ძნელი, მაგრამ დიდად საპატიო და საამაყო საქმე. ერთი სტატეგიი, დაეთია ჩინებული სარეკორდ.

— აგროგანყოფილების უფროსმა ი. გოგიჩიშვილმა გაგვაცნო მეტად საინტერესო ბიოგრაფიის მქონე მეცხვარე მიხეილ ბიჭაშვილი. იგი გლოლაში დაიბადა, გაიზარდა, მაგრამ 13 წელი ადიგენის რაიონის ცხვარში გაატარა. ზუსტად ოცი წლის წინათ მიხეილი თავის მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და პირუტყვის მწყემსად დაიწყო მუშაობა. მეურნეობაში ცხვრის მოშენება რომ დაიწყეს, მიხეილს სულმა წასძალა, ძროხებს თავი გაანება და ისევ მეცხვარეობა იჩრა.

ცხვარ-ბატკნის მდგომარეობამ დაგვაინტერესა და მიხეილს ასეთი შეკითხვა მივეცით:

— დოლის დროს ბერწიანობის ან ბატკნის სიკვდილიანობის საქმე როგორ იყო?

— ცხვრის გაბერწება და ბატკნის დაღუპვა მეცხვარის სიხარამაცეა, უდარდელობამ იცის. ჩვენთან ასეთები არ არიან, — გვითხრა მიხეილმა. — ამიტომ ალის, რომ ბატკანი არ მოგვკლეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა შემთხვევას, სწორედ კარგი მოვლით შევძელით ცხვრის რაოდენობის ასეთი გადიდება. ასი ნერბიდან ასი ბატკანი ხუმრობა საქმე როდია. იგი რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს დიდად აჭარბებს.

დიდად სასიხარულოა ისიც, რომ ფერმას ახალგაზრდებიც ეტანებიან. მეცხვარის რომანტიკული პროფესიის დიდმა სიყვარულმა მოიყვანა აქ სამუშაოდ სოფლის მკვიდრი, 18 წლის გიორგი ლიმონის ღუმელები, შემოღობეს მთელი ფარები.

გლოლაში დიდი თოვლი და ყინვა იცის. ამიტომ მეცხვარეებმა გათვალისწინეს საამური და ტექნიკური წყლის მოსაღოდნელი ნაკლებობა. ამ მიზნით შეიქმნა წყალსადენის ქსელის მშენებლობის სპეციალური ბრიგადა. სულ მალე ცხვრის დასარწყულებელი ხის როფები მთის ანკარა წყლით აიავსო. საკვებმომპოვებელთა ბრიგადებმა ფარეხთან მიზიდეს დიდძალი თივა, ნამჯა, კომბინირებული საკვები ჩადეს სენაჟი და სილოსი. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ახალ თოსსნობას, ახალ დარგს — მეცხვარეობას, ცხვარ-მეცხვარეს არ გასჭირვებოდა, თავიდანვე მყარ ნიადაგზე დამდგარიყო.

ყველაფერ ამან ნაყოფი გამოიღო, გასული წლის დეკემბრის მესამე დეკადაში დაიწყო მეცხვარეთათვის ყველაზე პასუხსაგები პერიოდი. გლოლელებმა პირველი ღოლი იზეიმეს. ვინ მოთვლის რამდენი ღამე გაათენეს თეთრად მეურნეობის მუშაკებმა, მამაცმა მეცხვარეებმა, რომ ღოლი ნორმალურად ჩამთავრებულიყო.

ლამაზი მოსაზრება, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა ერთიორად და მეტად გაიზრდება, თუ აქაური შრომელები, საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, ხელს მოკიდებენ ისეთ დარგს, როგორიც არის მეცხვარეობა. სამე ის არის, რომ მეცხვარეობისათვის რაიონში დიდი რეზერვებია. ეს უპირველეს ყოვლისა მთის საძოვრებია, რომელიც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის თითქმის გამოუყენებელია. სამაგიეროდ ასეთი საძოვრები ცხვრისათვის შესანიშნავია.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა დიდი ორგანიზაციორული მუშაობა შინაგანი რეზერვების გამოელენისა და ამოქმედებისათვის. სოფლის მეურნეობის ყველა გადამწყვეტ ოანში რაიონული კომიტეტისა და ბიუროს წევრები, აქტივისტი კომუნისტები ვავიდნენ. მათ მოსახლეობას დამაჯერებლად განუმარტეს მეცხოველეობის დარგის აღმავლობისათვის დაწყებული მაძრაობის არსი, თვითეულ მშრომელს ჩაუნერგეს რწმენა იმისა, თუ როგორ, რა გზით, რა მეთოდებით შეიძლება ამ ჩამორჩენილი დარგის დაწინაურება, საერთო აღმავლობის მიღწევა.

ამინდი თანდათან უარესებოდა, კავკასიონის მაღალ მწვერვალებს თოვლის თეთრი ქუდები ეხურათ. საქმე არ ითმენდა, საჭირო იყო ძროხებისათვის განკუთვნილი სადგომის რეკონსტრუქცია. ფეხზე დადგა მთელი სოფელი. დერგლებმა სწრაფი ტემპით მოაწყეს საკვებურები, დაათბუნეს ბინები, ააგეს საბატკნეები და საჭირო სათავსები. ცხვრის სადგომში დაიდგა ლითონის ღუმელები, შემოღობეს მთელი ფარები.

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

იოლი გავლიდრების ვოტრფიალენი

რედაქციას უპასუხებს პარტიის ოჩამჩირის რაიკომი

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების იყო მხილებული სარიდო მასალაში „ციონი გამდიდრების მოტრფიალენი". ამის გამო პარტიის ოჩამჩირის რაიკომი გვატყობინებს:

„კომუნისტში" გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში მოყვანილი **ფაქტები დადასტურდა.** საკითხი პარტიის რაიკომის ბიუროს განიხილა. ბიუროს დადგენილებით სოფელ ათარა-არმიანსკაიას კამოს სახელობის კოლმეურნეობის წევრს კომუნისტ მ. კიულიან

ხალხის გულში და ხსოვნაში

ნ. ნიკოლაძის ძეგლის გახსნა ფოთში

რევოლუციის მესამოცე გაზაფხული... მისი მძლავრი, ლაღი სუთქვა დასტრიალებს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, ხალისითა და აღტყინებით ავსებს ახალი ზღუდეების, ახალი მეჯუნების მოიერიშე ადამიანებს.

წინ დიდი თარიღია, და როგორც ყოველთვის, დიდი თარიღის კარიბჭესთან, ახლაც მოზეიმეთდა ახალი შრომითი თაოსნობები, ახალი ინიციატივები; სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ფრთებით მიისწრაფვის საბჭოთა საქართველო დიდი თარიღის შესახვედრად.

რევოლუციის მესამოცე გაზაფხული დგას ზღვისპირეთის უმშვენიერეს ქალაქში — ფოთში. საამაყო და სასიხარულო მართლაც ბევრი აქვთ ამ ქალაქის მკვიდრთ.

ოქტომბრიდან ზზით დატბორილა ყვავილნარსა და ხილნარში ჩაფლული ქუჩები, ქალაქის ცენტრალური მოედანი, ახლახან რეკონსტრუირებული მშვენიერი პარკი.

დღეს ზეიმია ფოთის მიწაზე; ფოთელი მშრომელები მადლიერებით მიაგებენ ღირსეულ პატივს თვიანთ დიდ თანამოქალაქეს, ქართველი ხალხის სახელოვან შვილს — გამოჩენილ პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს, ადამიანს, ვინაც ილიამ „ჩვენი რაზმის ფალავანი“ უწოდა, ვისაც უახლოეს თანამებრძოლად და მეგობრად თვლიდნენ ჭერცენი და ჩერნიშევსკი.

განუზომელია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მით უმეტეს, ძვირფასი და დაუფიწყარია მისი სახელი ფოთელებისათვის. ამ ქალაქს თავაკაცობდა ეს ბუმბერაზი პიროვნება თვრამეტი წლის მანძილზე. მის გაშენებასა და აყვავებას შეალია თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები.

სწორედ მას უნდა უმადლოდეს ფოთი თავის უმშვენიერეს ხუროთმოძღვრულ იერს. ნიკოლაძისეული კოშკის ბოლო სართულიდან თვალწარმტაცად იცქირება ქალაქის ცენტრალური მოედნიდან გასული თორმეტი რადიალური ქუჩა და ამ ყოველი ქუჩის თავი მდგომი კაცი მოედანზე ალმაროულ თეატრის შენობას ხედავს. ეს მშვენიერი შენობაც ნიკოლაძისეული გახლავთ.

ნიკოლაძემ აქცია პატარა ფოთი — ჭაობებში მიმოფანტული რამდენიმე ათეული ქოხი — შავი ზღვისპირეთის თვალმარგალიტად. მისი დაუცხრომელი მეცადინეობის წყალობით იქცა ფოთის ნავსადგური საქართველოს საზღვაო გიშერად. ნიკო ნიკოლაძე იყო ინიციატორი და სულისჩამდგმელი ფოთი-თბილისის რკინიგზის — ამიერკავკასიის პირველი სარკინიგზო ხაზის — გაყვანისა.

„ყოველი პირის სიმაღლის, თუ ღირსების საზომად ის კითხვა უნდა იხმარებოდეს, თუ რამდენად წინ წაადგმეკინა ფეხი თავის ერს სიკეთისაკენ, რა ახალი სინათლე მოჰფინა მის გონიერებას, რა ახალი გზა უჩვენა თუ გაუკაფა მის ძალღონეს“, — წერდა ნიკო ნიკოლაძე და განა ამ დიდი მოქალაქის ღირსების საზომად არ გამოდგება ის, რომ დღეს ნიკო ნიკოლაძის სახელობისაა საქართველოს ქალაქების ქუჩები, სასწავლებლები, რომ ოკეანის ტალღებს აპობს საოკეანო ტანკერი „ნიკო ნიკოლაძე“?

დღეს მისი სახელის ახალი უკვდავყოფაა. რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის **ვლ. ხხვიძისა** და არქიტექტორ **გ. ჯაბუას** გრანიტის კვარცხლბეკზე შემდგარი ბრინჯაოს მონუმენტი დაამშვენებს ამიერიდან ქალაქს, ნავსადგურთან მდებარე მოედანს, რომელსაც ახლახან ეწოდა ნიკო ნიკოლაძის სახელი. მოედანზე, ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიალის დაწყების მოლოდინში შეკრებილან ფოთელი მშრომელები, სტუმრები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, დედაქალაქიდან.

საზეიმო მიტინგს ხსნის ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. კუხალეიშვილი.** სიტყვებით გამოდიან „ახალი კოლხეთის“ რედაქტორი **ა. ტაკარაძე,** ნავსადგურის სამმართველოს უფროსი **გ. ვატაევი,** აკადემიკოსი **თ. დავითაია,** ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გენის კაპიტნის თანამშმწე **ხ. ლაზარეევი,** ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის მუშა, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **რ. კუპრაძე** და ნ. ნიკოლაძის სახელობის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე **ნ. დარასელია.**

მიტინგი მთავრდება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამხ. ვ. სირაძე** ჰრის ლენტს და საზეიმო მუსიკის ჰანგზე, გემის საყვირის თანხლებით, მონუმენტს ნელნელა სცილდება საბურველი. ნიკო ნიკოლაძე თავის პირშოს — ფოთის ნავსადგურს გაჰყურებს. ნავსადგურს, სადაც დღეს ღუზას უშვებს საზღვარგარეთის ორმოცამდე ქვეყნის გემი. ამიერიდან ჩვენს ქვეყანაში ზღვით მოსული სტუმარი კოლხეთის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე მას დაინახავს, ამ მიწა-წყლის დიდ მოამაგეს.

მიტინგის მონაწილეები ქალაქის ცენტრალური მოედნისკენ ინაცვლებენ, სადაც სამსართულიან კოშკში („ნიკოლაძის კოშკში“ — როგორც მას აქაურები უწოდებენ), იხსნება 1894-1913 წლებში ნ. ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობის ამსახველი მემორიალი. მემორიალს ხსნის პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ი. მოწერელია.** პირველი დამთვალიერებლებს გამოფენის ექსპონატებს აცნობს ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **ს. გუბელიძე.**

სტუმრები თვალიერებენ ფოთისის სახალხო აკადემიის შენობას და სურათების გალერეას.

ამ დღესვე ვ. ტენნის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში ტარდება ფოთისის სახალხო აკადემიის (რექტორი აკადემიკოსი **გ. ჩიტაია,** პრორექტორი პროფ. **ი. ტაბალუა**) სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

სესიას ხსნის პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. საჯაია.**



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამხ. ვ. სირაძე.**

თემატურ მოხსენებებს ნ. ნიკოლაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე კითხულობენ ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. გამეზარდაშვილი** და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პ. რატიანი.** სიტყვას ამბობს დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ფონდების გამგე **ვ. ბიბილეიშვილი.**

ფოთში გამართულ ზეიმს ესწრებოდნენ ნ. ნიკოლაძის შვილიშვილი **გ. მუსხელიშვილი** თავისი ქალიშვილით **ო. მუსხელიშვილით.** საოჯახო ალბომიდან ახალშექმნილ მემორიალს საზოგადოებისათვის ჯერ უცნობი ფოტო-სურათები გადასცა **ვ. პანიევმა.**

დასასრულ, ქალაქის საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით გაიმართა თეატრალიზებული სანახაობა — „ნიკობა“, პირველი „ნიკობა“ ფოთში.

წანული ბარათაშვილი.

„კომუნისტის“ სპეც. კორეს-პონდენტი.

სურათებზე: ნიკო ნიკოლაძის ძეგლის გახსნა. ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენის ერთი კუთხე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (სპეციფოტომის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული აფხაზეთი

ამ დღეებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სხდომათა დარბაზში მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ (საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზური ლიტერატურის სექციასთან ერთად) თავისი კოლეგიის სამეცნიერო სხდომა მიუძღვნა საკითხს „აფხაზური ლიტერატურა ქართულად“. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ქართველი და აფხაზი მწერლები, კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები. ქვემოთ „კომუნისტის“ მკითხველები გაეცნობიან ქართულად თარგმნილ აფხაზური მწერლობის რამდენიმე ნიმუშს.

ალექსი ლაშარია

წვიმა

არაფერი ამის მეტი,
არაფერი ალარ მინდა,
ცოდან ცვარი დასცემოდ
გვალვისაგან დამსკდარ
მინდორს.

ხიცხისაგან დაჭმულ ველებს
წვიმის წვეთი ენატრება.
ცხვრის ბეწვივით ხუთუმ
ფოთოლს
ძილშიც წყალი ელანდება.
და ჰა, შეგვისრულდა
ნატვრა —
წამოვიდა უცებ თქეში!
მე ახლით თავსხმა წვიმა
არ მინახავს თავის დღეში.
გამოიცოცხლდა ხე და ბუჩქი,
გაძღა მიწა, დაცხრა გვალვა!
შინდს მიეალერსა შინდი!
ალვას დაემგვანა ალვა!
...ახლით მაცოცხლებელ
წვიმას
გავს ის გოგო, და ის ბიჭი,
მაშულისთვის მიცემული
ვისაც მუდამ ახსოვს ფიცი!...

თარგმნა ტ. ჭანტურიამ.

რუფინე სვირი

ხე

გალადა

დიდ მინდორში იდგა ხე ოლე.
მარტო იდგა ხე შრიალა,
დასაქროდა მის მეზობელ
ჩუმ მდინარეს ეშხიანად.

მწყემსი იქვე არწყულიდა
თხების არეულ, მაგრამ სიცხე
როცა ძლიერ აწუხებდა,
ჩრდილს უფენდა ლალად
ის ხე.

რა გაუძლებს მუხთალ
დრო-ყამს,
აჭკნობს, რასაც
შეუჩნდება —
ხეს სიბერით გულს
ამოსუნთქამს,

ახმობს ჩუმად,
შეუმჩნევლად.

და წაიქცა ერთ დღეს ოლე.
მწყემსი ახლა შორით
უვლის,
როგორც ვიღაც შორეული...
ხე დაეცა ხანუკვარი,
მძიმე ტანქვეშ მოიყოლა,
მოკლა ჩრდილი საკუთარი,
თარგმნა ო. ჭელიძემ.

კონსტანტინე ლომია

იყო სოფელში ერთი...

იყო და არა იყო რა,
იყო სოფელში ერთი —
„ელექტროდენის უფროსი“,
ანუ „სინათლის დმერთი“...
ხუთი თითივით იცოდა
თვისი ლამაზი ხაქმე...
„გამნათებელზე“ ყოველთვის
ხიტყვას იტყოდნენ ხაქებს...
დენით სიბნელეს ებრძოდა, —
მოხერხებული, გამრჯე...
ხის კენწეროზე ამყავდა,
გინდ აივანზე გაპყავდა,
გინდა ჯურღმულში ჩაპყავდა, —
ამორჩილებდა მარჯვედ.
ახე, ყოველდღე, — ბინდიხპირს —
შუქი ებრძოდა ბნელთან:
ათასი თეთრი ნათური
აფეთქდებოდა ერთიდ!...
ღამ-ღამე რომ გახედავდა
განაჩრჩხებულ სახლებს —
ბედნიერ ქმაყოფილებით
უბრწყინდებოდა სახე!..

თარგმნა ბ. ძნელაძემ.

დიმიტრი გულია

ვის დარჩება უფროსობა

ერთხელ აფხაზეთის მთავარ მაპმუდებეის დარბაისელი გლეხი ტიყუა ესტუმრა.

პურობას რომ მორჩნენ, შუაღამე გადასული იყო და მთავარს ლაგონი გაუშვია, მაგრამ ვიდრე ძილი თავს წოლომენდა, სასთუმალთან ტაბლმოუბარი ჰაჯარათი დაუჯდა და ფიქრის ამშლელი ათასგვარი ამბის თხრობას მოპყვა. მთავარი გულისყურით უსმენდა მთხრობელს, დროდადრო შეეჩერებინა კიდეც და ხან რას ჰკითხავდა, ხან რას. ამ დროს მეზობელი ოთახიდან ბავშვის ტირილი შემოესმაო.

— ფუი, ეშმაკმა დალახვროს, ამ სახლში ჩემზე უფროსი არაფინ მეგონა, ხშამიღლა ლაპარაკობ, ბავშვი ტირიან. ეს ბავშვი ვინ ბრძანდებაო? — ჰკითხეს სტუმარ-მასპინძლებმა ჰაჯარათს.

მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ ოჯახის უფროსობა კი სადგო გაოხდათ მთავრისა და ჩვენ ბავშვს, არ ვიცი, პირველობა ვის დარჩება, ჯერ კი უპირატესობა ბავშვის მხარეზეაო, — დასძინა ჰაჯარათმა.

თარგმნა ჯ. ასათიანმ.

მიხეილ ლაკერბაი

თხა და მგელი

შეუნიშნავლი თხა მგელს გაურბოდა. ძღვეს დაიღწია თავი და ფრიალო კლდის ქიმზე შეხტა, სადაც მგელი ვერასდროეთ ვერ შესწვდებოდა. მგელმაც დაჰკრა ახტომა, მაგრამ ამაოდ. მიხვდა, რომ საკბილო ხელიდან წაუვიდა. უკანა თათებზე ჩაცუცქდა და სიმწრით აყმუვლებული ხარბად მიაშტერდა თხას.

თავი სამშვიდობოს რომ დაიგულა, თხამ სული მოითქვა და მგელს ლანძღვას მოპყვა:

— ჰეიტ, შე ასეთო და ასეთო! ბედს ემადლოდე, რომ ძირს ჩამოსვლა მიზარება, თორემ რქებზე წამოგაგებდი, შე თაბსირო, შენა!

— ვაი, შე ბრიყვო, — მიუგო მგელმა, — ნუთუ არ გესმის, რომ აგრე რიხიანად შენ კი არ ბაქი-ბუქობ, არამედ ეგ კლდის ქიმი. ჩემს გვერდით რომ იყო, სულ სხვა ხმით დაიწყებდი კიკინს.

თარგმნა ბ. ბრეგვაძემ.



ნ. ვ. პოდგორნი ესაუბრა სიად ბარეს

მოგადიშუ. (საკადესი). აქ საუბრები დაამთავრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სომალის რევოლუციური სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოჰამედ სიად ბარემ.

საუბრები, რომლებშიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არტემოვი მონაწილეობდა, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ეთარებაში მიმდინარეობდა.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები მათთვის საინტერესო საკითხებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ნ. ვ. პოდგორნიმ დაადასტურა, რომ მოჰამედ სიად ბარე ოფიციალური ვიზიტით არის მიწვეული სსრ კავშირში. სიად ბარემ გულთანდი მადლობა გადაიხადა ამ მიწვევისათვის. ვიზიტის ვადები შეთანხმებული იქნება დიპლომატიური არხებით.

□

გადატრიალების ცდა ჩაიშალა

იაუნდე. (საკადესი). ნორმალიზებულია ვითარება ჩადის რესპუბლიკის დედაქალაქ ნჯამენში, სადაც სცადეს გადატრიალება მოეხდინათ. გაიხსნა დედაქალაქის აეროპორტი, ქალაქში სიმშვიდეა, მუშაობს დაწესებულებები, საწარმოები და მაღაზიები. მთავრობამ გამოაცხადა, რომ ნჯამენში შემოღებულია კომენდანტის საათი 21 საათიდან დილის 6 საათამდე.

მთავრობის კომუნიკეში, რომელიც რადიომ გადასცა, ნათქვამია, რომ „31 მარტს ღამით შეიარაღებულ პირთა ჯგუფი მეორე ლეტენანტის ვინმე აბაქარ კუმბას მეთაურობით ცდილობდა ხელთ იგდო უმაღლესი სამხედრო საბჭოს რეზიდენცია და ფიზიკურად მოესპო ჩადის სახელმწიფოს მეთაური გენერალი ფელიქს მალუმი“. როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, ეს ჯგუფი გაფანტეს უმშიროების ძალებმა. იუწყებიან, აგრეთვე, რომ სახელმწიფო გადატრიალების ჩიზშობისას დაიღუპა გენერალური შტაბის ერთ-ერთი უმაღლესი ოფიცერი პოდპოლკოვნიკი ალი დაბიო.

□

ეგვიპტის მოსახლეობა

კაირო. (საკადესი). გასული წლის ნოემბრის დამლევს ეგიპტეში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, რომლებიც აქ გამოქვეყნდა, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მოსახლეობამ შეადგინა 38.228 ათასი კაცი. კაიროში 5.084 ათასი მცხოვრებია, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქში ალექსანდრიაში — 2.318 ათასი.

10 წლის განმავლობაში ეგიპტის მოსახლეობა 8 მილიონი კაცით გაიზარდა.

დაშალეს ფრანკოს პარტია

მადრიდი, (საკადესი). მინისტრთა კაბინეტის სხდომამ მოიწონა კანონ-დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებს ფრანკოს მიერ შექმნილი ეროვნული მოძრაობის დაშლას. ეს **მოძრაობა ბოლო** დრომდე ერთადერთი ნებადართული პოლიტიკური ორგანიზაცია იყო ესპანეთში.

კანონი ითვალისწინებს, რომ მოძრაობის ყველა ფილიალი, მისი ეროვნული, რეგიონალური და პროვინციული ორგანიზაციები დაექვემდებაროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ, ახალგაზრდობის, სპორტისა და ოჯახის საკითხთა დეპარტამენტს. ეროვნული მოძრაობის მთელი საკუთრება გადადის ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში, ხოლო მისი ინფორმაციის ორგანოები — (ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა ორმოცზე მეტი გაზეთი, რომელთა საერთო ტირაჟი 500 ათასი ცალი იყო, და 45 რადიოსადგური) — ინფორმაციისა და ტურიზმის სამინისტროს განკარგულებაში.

პრესა აღნიშნავს, რომ ეროვნული მოძრაობის დაშლა კიდევ ერთი ნაბიჯია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის გზაზე, რადგან პოლიტიკური სცენიდან გაქრა ორგანიზაცია, რომელიც ფრანკოს რეჟიმის სრული განსახიერება იყო და სერიოზულად აფერხებდა სოციალურ-პოლიტიკურ გადაქმნებს.

ძაკიტალის სამყაროში კრიზისი, ინფლაცია

„**საერთო** ბაზრის“ ქვეყნებში კვლავ მატულობს ფასები. ამის მოწმობს მონაცემები, რომლებიც ევროპის გაერთიანებათა კომისიამ გამოაქვეყნა. 1976 წლის იანვრიდან 1977 წლის იანვრამდე „ცხრეულის“ ქვეყნებში ფასებმა მოიმატეს: ირლანდიაში — 18 პროცენტი, ინგლისში — 16,5 პროცენტი, დანიაში — 12,5 პროცენტი, საფრანგეთში — 9 პროცენტი, ლუქსემბურგში — 7,9 პროცენტი, ბელგიაში — 7,7 პროცენტი, ჰოლანდიაში — 7,6 პროცენტი და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 4,1 პროცენტი.

ბიულეტენ „ევროპეფლიტიკის“ მონაცემებით, 1976 წლის იანვრიდან 1977 წლის იანვრამდე ინფლაციის საშუალო წლიურმა ტემმა „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში 10,9 პროცენტი შეადგინა.

ორჯერ და მეტად გაძვირდა სურსათი დიდ ბრიტანეთში მას შემდეგ, რაც ქვეყანა შეეყარა „საერთო ბაზარში“, ზოგიერთი მათგანის ფასი კი გასამკეცდა. ეს განაცხადა თემთა პალატაში ფასებისა და მომხმარებელთა დაცვის საკითხების მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ რ. მაკლენამ.

გადასასინჯია იტალიის მთელი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა „საერთო ბაზრის“ ფარგლებში, საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი ეკონომიკის ამ დარგის მწვავე კრიზისის დასაძლევად. ასეთი მოთხოვნები წამოაყენეს იტალიის პარლამენტის წევრებმა სხვადასხვა დემოკრატიული პარტიებისაგან.

„დანია და „საერთო ბაზარი“, პროგნოზები და რეალობა“ — ასეთია „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან დანიის გამოსვლისათვის სახალხო მოძრაობის“ ორგანიზაციის კოალიციაგეზმა გამართული კონფერენციის თემა.

კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს „საერთო ბაზარში“ ქვეყნის მონაწილეობის ეკონომიკური შედეგები, აგრეთვე ეკონომიკური ინტეგრაციის დანიის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მოხდა ამ დახშულ დაჯგუფებაში მისი შესვლის შემდეგ. (საკადესი).

ს. ვენსი ვაშინგტონში დაბრუნდა

ვაშინგტონი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი ვაშინგტონში დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან. აეროდრომზე ს. ვენსის შეხვედრის დროს ჯ. კარტერმა განცხადება გააკეთა პრესის წარმომადგენლებისათვის, რომელშიც, კერძოდ, თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველ დონეს იხმარს, რათა „განმტკიცოს შეგობრული ურთიერთობა და ურთიერთნდობა საბჭოთა ხელმძღვანელებთან“. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, განაგრძო მან, განახორციელებს ღონისძიებებს, „რათა მოემზადოს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების განსაგრძობად, რომელსაც გაემართვით ენერგეტიკის საკითხ პირველ ნახევარში“. მაგრამ არავითარი კონკრეტული აზრი ამის შესახებ პრეზიდენტს არ გამოუთქვამს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ აეროდრომზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო მდივნის უჩვეულო დახვედრა ეამიაყურებოდა როგორც ამის ცდა, რომ შეენელებინა არახელსაყრელი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ს. ვენსის მისიამ შეერთებულ შტატებში და საზღვარგარეთ.

პრეს-კონფერენცია თეთრ სახლში

ვაშინგტონი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხში ზ. ბეჟეზინსკიმ გამართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ხტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას.

პრეზიდენტის თანაშემწემ გამონთქვამები ახალი პრაპაგანდისტული ცდაა გამამართლოს ამერიკის წინადადებანი, რომლებიც მოსკოვში ჩამოტანა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, რადგან ამ წინადადებებმა კრიტიკა გამოიწვიეს როგორც თვით შეერთებულ შტატებში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ზ. ბეჟეზინსკის განცხადებაში არაფერია ნათქვამი იმ საკითხზე, რომ საჭიროა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების მისაღწევად დაეყრდნო მორიგებას, რომელსაც ელადიოსტოკში მიაღწიეს 1974 წელს. საგანთა ნამდვილი მდგომარეობის საწინააღმდეგოდ მან ამ მორიგებას „შეიარაღების დარგში კონკურენცია“ უწოდა.

„ჩვენი აზრით, — განაცხადა მან, — გარკვეული თვალსაზრისით ჩვენ ახლა პროცესის ადრეულ, პაუსისსაწყლებელ ეტაპზე ვართ“.

ასეთი გამონთქვამი აშკარად ეწინააღმდეგება იმას, რომ უკვე არსებობს დროებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე და გვაქვს ვლადივოსტოკის მორიგება. პრეზიდენტის თანაშემწე იცავდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას, რომელიც ცალმხრივ უპირატესობას ანიჭებს შეერთებულ შტატებს, კერძოდ, იგი მოითხოვდა, რომ საბჭოთა კავშირმა შეაჩეროს რამდენიმე ტიპის რაკეტების რიცხვი, რომლებსაც მან მიმე რაკეტები უწოდა, და კონტროლს დაუქვემდებარონ საბჭოური მობილური რაკეტები, აგრეთვე „მხ“ ტიპის ამერიკული მობილური რაკეტები, რომლებიც შეერთებულ შტატებს ჯერჯერობით არა აქვს.

ფრთოსანი რაკეტების საკითხის განხილვა (რომლებსაც თვითონვე სტრატეგიული „ალალი“ უწოდა) მან დაუკავშირა ამერიკელთა მიერ „ბეკფაირიდან“ წოდებული საბჭოთა ბომბდამშენის საკითხის გადაწყვეტას, რომელიც, როგორც არაერთხელ ალუნიშნავს საბჭოთა მხარე, სტრატეგიულ იარაღს არ მიეკუთვნება.

როგორც ზ. ბეჟეზინსკიმ აღიარა, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჰქონია იმის იმედი, რომ მის წინადადებებს საბჭოთა კავშირი დაეთანხმებოდა. „ჩვენ მგონია, — თქვა მან, — რომ ვიფიქრეთ ამ, ამ სახლსა თუ ამ ქალაქში, ვისაც კი რაიმე საქმე აქვს ამ პროცესთან, იმის იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირი მაინც დაეთანხმებოდა ამერიკის წინადადებებს“.

ამასთანავე ზ. ბეჟეზინსკის განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის განაგრძოს აზრთა გაზიარება ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, აგრეთვე გამოთქმულია იმედი, რომ მომავალ მოლაპარაკებათა დროს პროგრესს მიაღწევენ.

პენტაგონის საჭიროებებისათვის

ვაშინგტონი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიამ მოიწონა 35,9 მილიარდი დოლარი ასიგნებანი 1978 საფინანსო წელს იარაღის სისტემების შესყიდვისა და შემუშავებისათვის. კომისიამ, კერძოდ, მოიწონა ადმინისტრაციის წინადადება „ბ-1“ ხუთი სტრატეგიული ბომბდამშენის მშენებლობის შესახებ, რომლებიც 1,1 მილიარდი დოლარი დაჯდება, და გამოპყო ასიგნებანი გიგანტური გამწყობი თვითმფრინავების, სატრანსპორტო თვითმფრინავების, „ლანსისა“ და „ჰოკის“ ტიპის რაკეტების შესყიდვისათვის, აგრეთვე ამერიკის არმიისათვის ათეული ახალი მოიერიშე ვერტმფრინავის შემუშავებისათვის. კომისიის გადწყვეტილება მოწმობს, რომ ამერიკელი კანონმდებლები უყოყმანოდ აკმაყოფილებენ პენტაგონის საჭიროებებს, რომელიც გამალებული შეიარაღების გაძლიერებას ესწრაფვის.

საძრახისი როლი

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამოთხრილი საქმიანობა

ადის-აბება, (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საერთაშორისო იმპერიალიზმის იარაღია, რომელსაც დანაშაულებრივი მიზნებისათვის იყენებენ მსოფლიოს პროგრესული ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამოთხრილი საქმიანობის გასაწევად, წერს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ეთიოპიენ ჰერალდი“. ამის ახალი დადასტურებაა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორი აგენტის დაპატიმრება და ეთიოპიიდან გაძევება. ისინი ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის — ეთიოპიის დემოკრატიული კავშირის სასარგებლოდ.

ბერძანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული საზოგადოებრიობის ფართო წრეები გადაჭრით გმობენ დასავლეთგერმანელ მოქალაქეთა დევნას პოლიტიკური მოტივებით, ქვეყნის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მოქმედებს საზოგადოებრივ ინიციატივის 300-ზე მეტი კომიტეტი, რომლებმაც გაანაწილეს ბრძოლა „პროფესიების აკრძალვის“ სხვადასხვა ფორმით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციებში გაერთიანებულნ არიან სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ადამიანები.

სურათზე: ქალაქ შარნჰორსტის კომიტეტის წარმომადგენლები საპროტესტო დემონსტრაციაზე.

საკადესის ფოტო.

ბერძენ უფლებებისათვის

საქართველო უცხოელის თვალით

მეგობრობის ფესვები

ჟურნალ „ოვერტაკი ოიუზის“ 1977 წლის იანვრის უნგრულ გამოცემაში გამოქვეყნებულია ჟურნალისტ პეტრე სილადის ინტერვიუ ცნობილ უნგრელ ქართველოლოგთან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორთან ლაიოშ ბარდისთან. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს შემოკლებულ თარგმანს.

— ბატონო ლაიოშ, მრავალ თქვენს ნაწარმოებს ეცნობთ, რომლებიც საქართველოს ისტორიასა და კულტურას ეძღვნება. თქვენს კალამს ეკუთვნის წიგნი უნგრელ მოგზაურ იანოშ ბეშენზე და წიგნის — „მოგზაურობა საქართველოში“ — ერთი თავი. ვიცით, რომ თქვენი რედაქტორობით გამოვიდა ჯარი გინჩისა და ირეტეტ ტომპოშის წიგნი საქართველოს ისტორიული ძეგლების შესახებ. გარდა ამისა, საინტერესოა გადაცემისათვის უნგრულ-ქართული და უნგრულ-რუსული საძიებელი კავშირურთიერთობების შესახებ თქვენი და ემილ ბულტჰაუსის მასალებია გამოყენებული.

— ჯერ სამოც წელს რომ გადაბიჯებულს, მისათვის უკვე ბევრი აღარ არის ათზე მეტი დიდი მოცულობის ნაწარმოების გამოქვეყნება, ასზე ოდნავ მეტი ნარკვევი და სტატია იმ საკითხებზე, რომლებზეც იგი თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდან შეშობს. თუმცა ამ სხვა მიმართულებების გამორკვევაც მიწარმოებია, მაგრამ ჩემი მოღვაწეობის მთავარი თემა მაინც უნგრულ-ქართული, უნგრულ-რუსული და ოცი ნაკლებად უნგრულ-საბჭოთა ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული კავშირურთიერთობის გამოკვლევაა. სულ მალე თბილისში გამოვა კრებული, რომელიც ჩემს გამოკვლევებს მოიცავს. უკვე ახალგაზრდობაში ძალიან მაინტერესებდა ძველი უნგრეთის ისტორია, მაგრამ სულ მალე მივხვდი, რომ მე-15 მე-18 საუკუნეების უნგრეთის ისტორიის გაგება ძნელია, თუ იმ დროის აღმოსავლეთის ქვეყნებთან არსებულ ურთიერთობას არ გაეცანი. სწორედ ამიტომაც დავიწყე ფესვეფესვის მასალების შეგროვება.

განთავისუფლების შემდეგ სულ უფრო ხშირად ვიქეცეყნებდი ისტორიული ხასიათის ნაშრომებს. ჩემი პირველი წიგნი „მიჰაი ბალუდიუსი“ 1953 წელს გამოიცა. ეს წიგნი ეხება ეაკობინელთა მოძრაობის ერთ-ერთ წევრს, რომელიც სასჯელს რუსეთში გავიქცა, სადაც იგი მოგზაურობდა ბეთრიის ყველაზე ცნობილი ფეოდალი ხდება. წიგნი საბჭოთა კრებიკამ მოიწონა.

პირველად გამოვიკვლიე რუსული ლეხის შემსყიდველი ტოკაის გაერთიანების ისტორია. ეს გაერთიანება მე-18 საუკუნის დასაწყისში მოქმედებდა, პეტრე I-სა და ფერენც II რაკოცის ეპოქაში. მისი ისტორია ხომ უნგრელებისა და ქართველების ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია იყო, ტრანსილვანიის მთავრის ეიგმონდ ბატორისა და საქართველოს მეფის სიმონ პირველის მოღვაწეობის პერიოდში. მე-15 საუკუნის დამლევიან ამბებიც ვეკვლევდი და კვლევა ბოლოს ხარროი, როდესაც ეწოდა: „საქართველო მე-16 საუკუნის ევროპის საზოგადოებრივ აზოგოებაში. და ამ დროის ქართულ-უნგრული ურთიერთობა“.

— ჩვენ ვიცით, მართალია არ იყო აზრი, რომ ჩვენი ისტორიის ზოგიერთი შვილეული დიდი ხნის განმავლობაში ქართველებს უნგრელთა წინაპრებად ჩაიჩნევდა.

— მართლაც, ჯერ კიდევ მეფე მატიაშის ეპოქაში (როგორც ეა ტუროიის ქრონიკებიდანაც ირკვევა) მოდური იყო თვალსაზრისი, რომ უნგრელებიც და ქართველებიც ერთი ეთნოდობის ხალხებად ჩაეთვალათ. მე-15 საუკუნიდან ილუზიებია კი არა, არამედ ფაქტიურია ისტორიულმა ძაფებმა დაკავშირა ეს ორი ქვეყანა. ორივე ქვეყნის ხალხები ერთნაირად იტანჯებოდნენ აღმოსავლელი თავდასმსძელების უელქვეი. საერთოდ, ეჩვითია, ორმ ერთმანეთისაგან ასე დაშორებული ქვეყნები ერთმანეთს დაბამრებია ჯელს უშუალოდ. შუა საუკუნეების დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია ამის საკმაო მაგალითს იძლევა. სწორედ ამ თემას ეეხები წიგნში: „ძველი უნგრული დიპლომატიური მოგზაურობანი აღმოსავლეთში“.

— როდის იწყება საქართველოს კულტურისადმი ინტერესი უნგრეთში?

— უკვე მე-19 საუკუნეში მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებს ეხვდებით საქართველოს შესახებ. მორ იოკაი თავის თხზულებებში „თავისუფლება თოფლის ქვეშ“, „რიეუმინი“, „სეკეელი ქალები“, „ამირანი“ და სხვა ნაშრომებში მრავალ ქართულ მოტივს ეხება. ჩვენი საუკუნის დამდეგს იენე ზიჩიმ და მორ დეჩიმ საქართველოში მოწყობილი ექსპედიციის შედეგად მიღებული მრავალი მნიშვნელოვანი მასალით გამდიდრეს უნგრული არქეოლოგია და ეთნოგრაფია. ბერნატ ბუნეაჩიმ, ფესანიშნავმა ეთნომეცნიერმა, სიტყვათა შედარების დროს ქართული ენაც გამოიკვლია. უნგრული ქართველოლოგიის პიონერად მაინც ენათმეცნიერი ოსკარ ასპმოტი ითვლება, რომელსაც ევროპაში პირველად გამოეცემოდა ქართული გრამატიკის რედაქტორი ადოლფ დირიც იხსენიებს. ჩვენ უნდა გამაყობდეთ, რომ მსოფლიოს არცთუ ისე ბევრ ენაზე უთარგმნიათ ჩვენზე ადრე ქართული ლიტერატურის შედევრი „ვეფხისტყაოსანი“. იგი ბელა ვეკარმა თარგმნა უნგრულ ენაზე და 1917 წელს გამოქვეყნა. წიგნს მიხაი ზიჩის ილუსტრაციები ამშვენებს, რომლებიც მან 1880 წელს შექმნა და რომელთა გამოც ქართველი ხალხი მას თავის ერის უდიდესი ადამიანების გვერდით იხსენებს.

— ჩვენში მრავალი უნგრელი მეცნიერი მუშაობს საქართველოს თემაზე. მათ შორის ეთნოგრაფიაში — მარტონ ალმაკოვიჩი, ლიტერატურის ისტორიაში — დიო